ცოტა რამ ჩვენის ცხოვრების ავ-კარგისა

(ზოგადი შენიშვნები)

აზრის წარმოთქმა რომელიმე საგანზე თვით საგნის შეუსწავლელად და შეუგნებლად მხოლოდ რეგვენს ადამიანს შეუძლიან. რეგვენი, უმეცარი ადამიანი მსჯელობაში მუდამ თამამია, გაბედული. იმას, თუ ცოტა ოდნავ აქვს ძალ-ღონე მსჯელობისა, ოდნავ მაინც ამოძრავებს გონებას და რაიმე აზრმა გაურბინა თავში, მაშინვე თავის თავი წარმოუდგება თვალწინ და თამამად იტყვის: ჰა, ვიპოვე, ნამდვილია! სწორედ ასეა. მაშ რად მომივიდა თავში ეს ფიქრი, თუ კი ნამდვილი არაა?! „მომივიდა ფიქრად“ იმისთვის სრულ იად საკმაოა სიმართლის, სინათლის სათქმელად და დასამკვიდრებლად.

დიაღ, „მომივიდა ფიქრად“-ო, ამან ძალიან განზე გაშალა ჩვენში ფეხები: მოუვიდა ერთს ფიქრად პოეტი უნდა ვიყოვო და გახდა კიდეც; მოუვიდა მეორეს ფიქრად გაისტორიკება, გაისტორიკდა. მოუვიდა მესამეს ფიქრად უნდა საქართველოს საქმეთა მოთავედ გავხდეო, გახდა. მაშასადამე „ფიქრად მოსვლას“ ძალ-ღონე ჰქონია? აქვს და მაგრე! ფიქრად მოსვლა შეიცავს წადილს, ნდომას; თუ კაცმა არ მოინდომა, ვერაფერს გააკეთებს; ეს ცხადია: კოლუმბს, რომ ფიქრად არ მოსვლოდა კიდევ სხვა ქვეყანა უნდა არსებობდესო გარდა იმ ქვეყნებისა, რაც იმ დროის კაცობრიობამ იცოდა, ხომ არ ამოაჩენდა ამერიკას? ჰო, ეს მართალია, მაგრამ ის კოლუმბი იყო და ჩვენებური კოლუმბები სხვა ჯურის კოლუმბებია, ფიქრად არა კმარა მარტო, ფიქრს უნარიც უნდა შესწევდეს. ამას ესენი არ დაგიდევენ, რადგან მარტო „ფიქრად მოსვლაა“ საჭირო და სხვა არა-რა. რადა? მადა, რომ უკაცრავად თუ არ ვიქნები ამ სიტყვაზედ, ჩვენი საზოგადოება ჯერ კარგა მანძილზე უკანა დგას დაწინაურებულ ერთა საზოგადოებაზე და იმიტომ შეუძლიან იქ ყოველგვარმა რეგვენმა აზრმა, რეგვენმა კაცმა ინავარდოს. როცა საზოგადოებას მართალი სასწორ-საზომი არ უჭირავს ხელში და, ნუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულიადაც არ მოეპოვება ისინი, რა თქმა უნდა იმისთანა საზოგადოებისაგან ფულისა და გულის მოგება ადვილია: გირვანქა შეგიძლიან ათ გირვანქად ამუშავო, გოჯი – ადლად...

ეს „ფიქრად მოსვლა“ კიდევ რაც არის – არის, ჯანდაბას იმისი თავი და ტანი, უბედურება ისაა, ხანდახან მის ადგილს იჭერს ფ ი ქ რ ი ს ჩ ა ძ ა ხ ე ბ ა. ჩასძახებ და ამოგძახებს ქვევრივით. ნუთუ ეს კი ცუდი თვისებაა კაცის გონებისა, რომ სხვის ფიქრი მიიღოს, გაიზიაროს?! ესეც ისევ კაცზეა დამოკიდებული: იმ ჯურის ადამიანთათვის, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, მეტად საშიშად მიგვაჩნია: ამ გვარს ხელს შეიძლება მადლიანმა კაცმა მრავალი მადლი ჩაადენინოს, მაგრამ უმადურმა და უმადლომ კი მრავალი ცოდვა, ბევრი სამავნეო; ამგვარი კაცნი სხვის ხელში იარაღად ხდებიან, მუშაობს იმათის საშუალებით სხვა, ერთი, ან ორი ადამიანი სჩარხავს თავის საქმეს, ბევრს შემთხვევაში, უკუღმართს, ქვეყნისთვის საზარალო, საზიანოს. ისინი მაინც საიმედონი არ არიან, არ არიან იმიტომ, რომ დღეს აგებულს ციხეს ხვალ წიხლსა ჰკრენ და

დაშლიან. გუშინ, ვისაც, „ვაშა“-ს მიუძღვნიდენ, დღეს იმაზე „ჯვარს აცვითო“, იძახიან. რატომ? მიტომ, რომ დღეს სხვამ სხვა ფიქრი ჩასძახა...

ნუ გგონიათ ეს „ფიქრმოსული“ და ეს „ფიქრჩაძახებული“, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ბრბო იყოს უსწავლელი, უმეცარი. არა, ისინი თავიანთ თავს „ინტელიგენციას“ ეძახიან. ეხლა თქვენ იფიქრეთ, თქვენ თითონ ივარაუდეთ რა აზრს შეიმუშავებს ამგვარი ინტელიგენცია თავის ქვეყნის შესახებ, ან რა გზას აირჩევს სავალად? იმათ ვერ მოვთხოვთ ვერაფერს პროგრამას მოქმედებისას, გარკვეულს შეთანხმებულს ჩვენის ცხოვრების საჭიროებასთან. ვერ მოვთხოვთ იმათ აგრეთვე აზრს, იდეას მართლა ჩვენის ქვეყნის სასარგებლოს და გამოსადეგს, რადგანაც თუ რამ უსწავლიათ, უფრო სხვა ერთა ცხოვრებისა, ისტორიისა, ვიდრე თავისა. რა აზრი მოეთხოვება ამგვარს ინტელიგენციას, როდესაც მან არ იცის წარსული თავის ერისა, არ იცის თვისება, ლტოლვილება იმის სულისა და გულისა, – არ იცნობს მის გონებრივს აგებულობას, არ იცის საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მისი სოციალური ყოფა-მდგომარეობა?! ამიტომ უცხო ერთა ცხოვრებაზე დაწერილის აზრს, მაშასადამე, ჩ ა ძ ა ხ ე ბ უ ლ ს ფ ი ქ რ ს იმეორებს... აზრებშიც გარჩევა როდი იციან: საპირადო, საოჯახო, კერძო აზრი საერო, საქვეყნო აზრად მიაჩნიათ. ქაიხოსროს მეცხვარე სჭირდებაო და უსათუოდ, მთელო საქართველოვ, უნდა თავსამტვრევად გაიხადო ეს საგანი – სესია ურჩევნია ქაიხოსროს მწყემსად თუ ბესია?! სხვა აზრი, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა ქვეყნისათვის. ამ საგანს უნდა მიაპყროს მთელი ძალა სულისა და გულისა. თუ ქვეყნისთვის ჰზრუნავ, თუ გინდა საქვეყნო საქმე აკეთო, შე კაი კაცო, უნდა თვით საგანი იყოს საქვეყნო; ქაიხოსრო ქვეყანა არ არის და არც სესია, ბესია წარმოადგენს საზოგადოებას; არც მწყემსობაა ისეთი შესანიშნავი და საძნელო რამ, მთელმა ქვეყანამ იმაზე იფიქროს. სულ სხვა საქმეა, პრეზიდენტად რომელი აჯობებს, სესია თუ ბესია. პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინა გინდა არ გამოდგება, იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს; თუ ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეყნო საქმეში. ან კი ვინ ჩასჩხირავს? ვინ დააყენებს იმას ქვეყნის საქმეთა მმართველად და მესვეურად? თუ დააყენებენ, ისევ ფიქრმოსულნი, ფიქრჩაძახებულნი და არა საკუთარს ჭკუით მომქმედი ხალხის კრებული. ამავე ფიქრმოსულმა „ინტელიგენციამ“ მოიგონა ვითომდა ახალი აზრი: მეზობელ ერთან კეთილი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ვ ი ქ ო ნ ი ო თ ო. ერთი ჰკითხეთ, როდის არა ჰქონია საქართველოს კეთილი განწყობილება ამ მეზობელ ერთან? ან როდის და ვის უფიქრია იმათი გაძევება საქართველოდამ ან გაჟლეტა?! ჯერ ურიები, დევნილნი მთელს ევროპაში, თავშესაფარს მხოლოდ საქართველოში პოულობდენ და ეს მეზობელი ერი ხომ დიდი ხანია, რაც ჩვენი მეზობელია და ჩვენ იმისი. ხოლო მეზობლობის წესს რომელიც დაარღვევს, იმას კი განსამართლება, განსჯა უნდა და არა ყვირილი: „მეზობლები ვართ, მეზობლებიო!“ ვერაფერი ერის აღმზრდელი აზრი გახლავთ. ეს იცით რასა ჰგავს? კაცსა სცემდე და იმას უყვიროდე ხელი არ გაიქნიო, ხელი არ გასძრა, ხუმრობა საქმე არ არის, მაღლიდამ ღმერთი ჰხედავს მტყუანსა და მართალსა!.. ამგვარი აზრების ქადაგებას არა უშავდა რა კიდევ, რომ ისეთის სხივით არა ჰმოსავდენ, თითქოს ქვეყნის წყლულთა წამალი მხოლოდ ეს არის და სხვა არარა, რომ მთელი ქვეყნის ფიქრს არ აშორებდენ უმთავრესი აზრიდამ, საგნიდამ და არ

აცდენდენ ამ ასკუპდი-გადასკუპდის ცქერაში. ამ ვაჟბატონებმა ჯერ ის უნდა იცოდენ, რომ ერი შაერთებულად გენიოსია, იმას შაიძლება გარკვევით არ ესმოდეს თავისი მდგომარეობა, მაგრამ უეჭველია, რომ გრძნობს კი. ან ეს რა ლოღიკაა: შეაძულო ან შეაყვარო რომელიმე ერი ან ცალკე პირი წერით ან ქადაგებით? ეს მხოლოდ მაშინ შაიძლება, როცა თვით ერს არა აქვს იმ ერთან ან იმ ცალკე პირთან დამოკიდებულება; შესთხზა ფაქტები დიდებისა და ძაგებისა და ამით ჩაჰრგო ერის გულში ის გრძნობა, რომელსაც შენ ელტვი, მაგრამ იქ კი, სადაც ერი თავის თვალითა ჰხედავს და მთელის თავის სხეულითა ჰგრძნობს, განძრახ „აზრების“ თესა ამაოდ დროს დაკარგვაა. ნუთუ იმათ არა ჰსმენიათ ჯერ ხალხური ლექსი, თვით ერის სიმღერა – „სიყვარული არ იქნება ძალითა“, რომელიც შაიძლება ასე შევცვალოთ „სიმძულვარეც არ იქნება ძალითა!“. ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ „ფიქრ მოსულთა“ ყოფა-ქცევა სწორედ ცხოველთა დამცველ საზოგადოების მისწრაფებას მაგონებს. იქნება მკითხველს არც კი უფიქრია როდისმე, რა დაფარული აზრი აქვს ამ საზოგადოებას, ცხოველთა შემბრალეს, მცველს და მფარველს? აი რა: კაცთა საზოგადოება ყოველი მხრიდამ დაფარული და დაზღვეულია, იქ ბედნიერება სდუღს და გადმოდის, მხოლოდ შთენილან უმწეოდ, უპატრონოდ, პირ-უტყვნი, რომელთაც უნდა ვექმნედ მცველად და პატრონადო.

მეტიღა იქნება ქვეყნისთვის თვალების ახვევა?

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. ეს ანდაზა სწორედ ჩვენს დამოკიდებულებას შაეფერება ამ მეზობელ ერთან. ქართველი ერი იმ თავიდამ მხვნელ-მთესველი ერია, მისი ძალ-ღონე დამოკიდებული იყო პურ-ღვინოზე და მათ მასაზრდოებელს დედამიწაზე. მართლაც, დედა-მიწა დიდი საუნჯეა ერისათვის, უტერიტორიოდ ერი ვერაფერი ერია, მის სიცოცხლეს მუდამ საფრთხე მოელის, საეჭვოა მისი მომავალი. როგორც უწყლოდ თევზი ვერ გასძლებს, ისე უტერიტორიოდ ერი. ჩვენი ძლიერება სწორედ ამაშია, დღეს კიდევ ამით უნდა მოგვწონდეს თავი, რომ მიწა-წყალი შევინარჩუნეთ. ერთის მხრივ თუ მამული გვეტყვის მადლობას ამისთვის, არ მომიძულეო, და არ დაიქსაქსენითო: მეორეს მხრით იმასვე უნდა ერთი ათად დაუბრუნოთ ეს მადლობა: ჩვენც დიდად გმადლობთ, რომ თავი შეგვაყვარე, ვერ გაგიმეტეთ დაგვეტოვებინე, დავქსაქსულიყვენით აქეთ-იქით...

მაგრამ, მაგარი ის არის, ამ ბოლო დროს ფულმა ყელი მოიღერა, გათამამდა, ფულის პატრონი თითონ დაგვიდგინეს ნიხრი მიწის ნაწარმოებისა. ამ ამბავს ჩვენმა ხალხმა კარგა ხანს ყური უგდო, ყური უგდო და ბოლოს გულიც მოუვიდა. ფული ძალა ყოფილაო იფიქრა, მერე ისეთი ძალა, რომელიც თავის ქეიფზე ათამაშებს მიწის მუშას და იმის ნაწარმოებს. მაშასადამე, ჩვენც უნდა ვეცადნეთ ეს ძალა შევიძინოთ, რომ სხვას არ გავეთელინოთ, არ გავესრესინოთო. ესენი „ფიქრ მოსულნი“ კი არა, უკვე ფიქრიანი ხალხია. დაარსდა ამ აზრით ღვინის მოვაჭრეთა საზოგადოება და არსდება კიდევ სხვა საკომერციო საზოგადოებანიც. ხომ აშკარაა ყვლასთვის, რომ ეს კეთილი საქმეა, სახელიანიც და სახრავიანიც. თითქმის დღეს ყველა შაგნებული ქართველი ამას იძახის: უნდა გავმდიდრდეთ, უნდა სიმდიდრე შევიძინოთ, უამისოდ ფონს ვერ გავალთ, ხსნა არ არის! ეს ნამდვილია, მოსაწონი, მაგრამ არ იქნება თუ არ ვსთქვი: ვეცადნეთ

ფულის შეძენას მხოლოდ ისე კი, რომ ჩვენი ეროვნული იდეალი არ წავწყმიდოთ, სახსარი, ანუ საშუალება მიზნად არ გავიხადოთ და ის აზრი, რომელიც ჩვენმა ერმა უნდა განახორციელოს, მისი წადილი „ჩოთქზე“ არ ჩამოვარჩოთ...

ჩვეში ამასაც ხომ ამბობენ, მაგრამ ზოგები იმასაც გაიძახიან გაზეთის პირით, რომ: „სიმდიდრეს უფრო ბევრი ადამიანი დაუღუპია, ვიდრე სიღარიბესო“. ეს რომ ნამდვილი არ იყოს და მართლა სიღარიბე სჯობდეს სიმდიდრეს, ხომ კაცობრიობა სიმდიდრისთვის თავს აღარ აიტკივებდა. პროგრესი სიმდიდრემ დაბადა და პროგრესმა ხომ წინ წამოაყენა იდეა სათნოებისა, ძმობისა, ერთობისა, ერთხმობისა და სიყვარულისა, რაიც არ ძალუძს სიღარიბეს. სიღარიბე განხორციელებული უძლურებაა, გოდებაა, მომასწავებელი ყოველ გვარის უბედურებისა: მონებისა, გინა ავაზაკობისა და სხვა გვარის ბეჩაობისა. ღარიბი ქონებით ერი, უნდა ვიცოდეთ დაჭეშმარიტებით, რომ ყველაფრით ღარიბია და ამიტომ არც არის რაშიმე საიმედო და ხელსაყრელი.

საუბარმა მიგვიყვანა იქამდის, რომ არ შაიძლება ცოტა რამ განათლებაზედაც არა ვსთქვათ, ჩვენის ახალთაობის აღზრდაზედ. მომავალი ქვეყნისა იმათზეა დამოკიდებული. როგორიც შვილები ექმნებიან ჩვენს ქვეყანას, ისე წავა იმის საქმეც: უხეირონი იქნებიან – ქვეყნის ბედიც უხეიროდ ივლის და ხეირიანები იქნებიან, რა თქმა უნდა, ხეირიანად წაჰმართავენ ქვეყნის საქმეს.

დღეს აქამომდე ასე იყო და კიდევაც არის, თუმცა კი ამ აზრს შეგნებულის საზოგადოების გონებაში საძირკველი შაერყა, რომ შვილს იმიტომ ასწავლიან მშობლები, „მოხელე“ გამოვიდეს. რაც უფრო დიდ ჯამაგირიან ადგილს იშოვის იმათი შვილი, მით მშობლებიც და შვილიც მომეტებულად ბედნიერია. რაკი სწავლას ასეთი კომერციულის თვალით უცქერიან, რა თქმა უნდა, იმას ამისთანა ხალხის თვალში საკუთარი ძალა და ღირსება დაკარგული აქვს: ოღონდ ჯამაგირი აიღე „ჩინონიკი“ გერქვას და თუნდ ინჩიც არ იცოდე არაფერი უშავსო. აქ ისიც იგულისხმება: მხოლოდ თავის თავს კი არგე, ჯანდაბას ქვეყანაც და მისი სატკივარიო. იგულისხმება იმიტომ, რომ რის მაქნისია უსწავლელი, უბირი ადამიანი? რას არგებს ის ქვეყანას? როგორ შაიტყობს იგი ქვეყნის წყლულს, ქვეყნის საჭიროებას, თუ კი თვალები ახვეული ექნება?

ამ გვარად შვილების გაბედნიერებას, ვიმეორებ, ამ ოცი და ოცდაათის წლის წინად უფრო დიდი ბაზარი, ფართო მოედანი ჰქონდა სანავარდოდ. დროებაც იმისთანა იყო, მშობლებსაც მეტი არ მოეთხოვებოდათ. დღეს კი ბევრი იმათგანი დარწმუნდა, რომ „ჩინონიკობა“ ვერც მაგრე რიგად ამდიდრებს კაცსა და არც ისეთი საპატიო ხელობა ყოფილა, როგორც იმათ ეგონათ და ამიტომ დღეს ესენივე რომელიმე მოშაირის გახეხილს „სერთუკს“ უფრო თვალებს აშტერებენ, ვიდრე გენერლის „მუნდირს“.

იქნება თქვენ ამაზედ მიპასუხოთ, რომ ისინი საზოგადოების აზრის ფეხის ხმასა ჰყვებიან და არა საკუთარის გულისა და გონების მსჯავრსა და სამართალსო. შეიძლება ასეც იყოს, მაინც და მაინც ესეც კარგია, ხომ ჰბაძავენ სხვებს, რომელთაც ესმით და გულით მტკიცით დაჯერებულებია, რომ ის „გახეხილი სერთუკი“ პატიოსანია, მადლიანია გენერლის ბრწყინვალე „მუნდირზე“?! რადა ჰბაძავენ თუ კი სხვის აზრს არ ამჯობინებენ საკუთარს შეხედულობას და არ ეჭვობენ, იქნება მოყტუებულნი ვიყოთო ? დიაღ, დღეს აღარა მგონია იპოვებოდეს იმისთანა ადამიანი ჭკვათა მყოფელი, რასაკვირველია, საქართველოს ყურე-მარეებში, რომ სწავლის ფასი არ ესმოდეს, იმას პატივს არა სცემდეს. ამისთანა სწავლის უარმყოფელს და მაგინებელს, თუ ხინჩლასა ჰნახავთ ხუთმეტი კლდის შუა მჯდომარეს, ფეხისმოუცვლელად მთელი ასი წლის განმავლობაში, სხვას არვის. „ფიქრ მოსულნი“ კი ჩვენში პოულობენ თითქოს ამ სწავლის უარმყოფლებს, უთითებენ იმისთანა კაცზე ხშირად, რომელნიც დე და ამ იმის ლოცვა-ვედრებაში არიან; ღმერთო, ქვეყანა გაანათლე, გაუფხიზლე გონება, რომ ეგები ქვეყნის ბედი უკუღმა მბრუნავი, წაღმა დატრიალდესო. სწავლა გამოსადეგია და გვესაჭიროებაო, ყველანი ვეთანხმებით ერთმანეთს; ხოლო უთანხმოება და კინკლაობა იმაზე მოგვდის, ეს სწავლა როგორ მოვიხმარო, როგორ გამოვიყენოთ. ეს სწავლა სულ კანცელარიებში უნდა გვყავდეს დამწყვდეული თუ უნდა გამოვამზეოთ; იმას აუჩინოთ ისეთი საქმე, პურსაც იძლეოდეს, ფულსაც, მეტს სახელს და ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო იყოსო. ერთნი ფიქრობენ, მეურნე ხალხი ვართ და უნდა მეურნეობა შევისწავლოთ, თავისი მიწა-წყალი შევიმუშაოთ, კარგი ჯიშის საქონელი მოვაშენოთ და სხვ. სხვანი კიდევ სხვას ფიქრობენ. ეს აზრი ერთის მხრივ კარგია, კარგია იმიტომ, რომ თუ დაიხსნის კანცელარიის ბორკილიდამ ჩვენს შვილებს ესევ ესა, თორემ სხვა არარა. მაგრამ ფეხმოკლე და ფრთებშეკვეცილი მოსაზრებაა.. ვერაფერი მოქალაქეა იგი, ვინც კომბოსტოს მოყვანა იცის, ან თუ ფუტკრის მოშენება და არ არის საზოგადოდ, თეორეთიულად განვითარებული, არ იცის მსოფლიო ისტორია, არ იცის სოციოლოგია, ინჩი არ გაეგება პოლიტიკური ეკონომიისა, ფილოსოფიისა და სხვ. და სხვ. ტექნიკა საქონლის მოშენებისა, მისი შემუშავებისა და უბირს, ანა-ბანის უცოდინარს გლეხსაც შეიძლება შეასწავლოთ და დასტოვოთ ისე, მაგრამ ამ გვარი მოქალაქე რა მოქალაქეა, რა მამულის შვილია ? ეს აზრი გამოითქვა შაეშან ერთს კრებაზე სათავადაზნაურო სკოლის დაარსებაზე, რომელიც იყო დანიშნული. მაგრამ აქ საკვირველი არაფერია. ყოველი უკიდურესობაო, ამბობს ერთი მეცნიერი, უკიდურესობას გამოიწვევსო. უკიდურესობამდი მივედით „ჩინონიკობის“ ძებნა-ძიებაში და სხვა რა უნდა დაუყენოთ იმის შესარცხვენლად და გასაწბილებლად, თუ არა თოხი, ბარი და ნიჩაფი?!...

ქვეყანას ათასი სპეციალური მოთხოვნილება აქვს და ველა იმათ ცალ-ცალკე და საერთოდ დაკმაყოფილება უნდა, ცალკე მიჩნეული სპეციალისტი ხეირიანად მცოდნე თავის საქმისა. ამ ბოლო დროს ჩვენში მაინც პატიობამ აიდგა ფეხი. ვიდრე ამ ახალს პარტიობაზე რასმე ვიტყოდეთ, უნდა ცოტა რამ წარსულის პარტიობისა გავიხსენოთ. ამ 12-13 წლის წინათ იჩინა თავი ერთმა პარტიამ, იგი წინათაც არსებობდა; თავის წადილის გამოსათქმელად დააარსა ჟურნალი „იმედი. ამ პარტიის წადილი ის იყო, რომ გლეხკაცობის კეთილდღეობისათვის ეზრუნა, მისი ეკონომიკური ყოფა-მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. თითქმის მარტო გლეხკაცობისაგან შემდგარი საქართველო უნდა დაეარსებინა. დანარჩენი ეროვნული საჭიროებანი დავიწყებული ჰქონდათ, დავიწყებული იყო აგრეთვე თავადაზნაურობა, რომელსაც თითქოს არაფერი უჭირდა და იმათი დასუსტება არაფერი დასაკლისი იყო ვითომ

ეროვნულ საქმეთათვის. მოკლედ რომ ვსთქვათ, ეროვნული აზრი უარყოფილი იყო იმათგან. ეს პარტია, როგორც თვითონაც იგრძნო ბოლო დროს, ნაძალადევი, ხუხულასავით ნაგები, სხვის მიბაძვით, „სხვის ჩაძახებით“ ნაკოწიწები გამოდგა; გაიგო ისიც, რომ დღეს ჩვენს მდგომარეობას არ შაეფერებოდა ამ გვარი მოძღვრება და უკან დაიხია, თავისი თავი თითონვე უარჰყო. მაგრამ იცის უნდა ვსთქვათ, რომ ეს პარტია პრინციპის, აზრის პარტია იყო. სხვაც რომ არაფერი იყოს, ქ ვ ე ყ ნ ი ს საკეთილდღეოდ ზრუნავდა. მეორე მიმართულების გამომხატველი „ივერია“ იყო და არის. ისიც ხომ ვიცით, რა მოძღვრებას მისდევდა და მისდევს. დღევანდელი პარტიობისა კი რა მოგახსენოთ. დღევანდელი პარტიობა სულ სხვა ჯურისაა, სრულიად სხვა იერისა და ფერისა, თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ სრულიად უპრინციპოა, უაზრო, წვრილმანი. ღმერთმა დამიფაროს, ამით ის არ მინდა ვსთქვა, ვითომც ამ პარტიის მოთაურნიც უპრინციპონი იყვნენ. ერთს ხომ ჩვენც და ჩვენი ქვეყანაც კარგად იცნობს, როგორც მოღვაწეს, აზრის კაცს და მაშასადამე, ამ გვარი ეჭვი ჩვენზე არავის შეუძლიან შემოიტანოს. მაშ ეს კაცი რად გამოდის უპრინციპო, აზრის უქონელი. შეგვიძლიან ამაზედაც ისევე ზემოდ მყვანილი მეცნიერის სიტყვა გავიმეოროთ, რომ : „ უკიდურესობა გამოიწვევს უკიდურესობას“... ვინ შექმნა ეს უკიდურესობა ? - უსათუოდ მოწინააღმდეგე პარტიამ.

ამ პარტიებს ვეძახი უპრინციპო, უაზროებს იმიტომ , იმათში ს ა ქ ვ ე ყ ნ ო აზრს ვერა ვხედავ და ს ა ბ ა ნ კ ო კი ბევრია...

ნუ თუ კი ბანკი საქვეყნო საქმე არ არისო ? იქნება თქვენ მიპასუხებთ. მეც მოგახსენებთ: მართალია, საქვეყნო დაწესებულებაა, დიდი ღვაწლიც მიუძღვის საქვეყნო საქმეში, მაგრამ ისეთი კი არა, რომ მთელი ქვეყნის სვე-ბედი იმათზე იყოს დამოკიდებული. პარტია კი, პარტიის მიმართულება ვგონებ უნდა მოასწავებდეს სწორედ ამ ქვეყნის ს ვ ე -ბ ე დ ს. ბევრს ცალკე პირს მიუძღვის ჩვენის ქვეყნის საქმეში ღვაწლი, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს თვითეული მთგანი თავის „მეობით“ საქართველოს წარმოადგენდეს. დიაღ, ბატონებო, ბანკი სხვაა, საქართველო სრულიად სხვა, არაფვითარი მზგავსება არ არსებობს იმათ შორის. ნუ თუ ამას კიდევ განმარტება ეჭურება ? ნუ თუ ან იმას ეჭირება განმარტება, რომ საქვეყნო პარტიობა სხვაა და საბანკო საქმე სხვა ? რომ პირველი ღირსია თავის სახელწოდებისა, ხოლო მეორე უღირსი ?

ის საქართველოს შვილი, რომელიც ამ ახალს პარტიობაში მონაწილეობას არ იღებს და, აკაკისა არ იყოს, ამბობს : „ძველი და ახალი, ორივე ქვას ვახალი“-ო. შაიძლება ერთში სტყუოდეს და მეორეში კი მართალი იყოს. სტყუოდეს აი რაში: მართლა პატივსაცემი, მართლა არ წარმოადგენდეს ამასთანავე პარტიას ქვეყნის „სვე-ბედისას“, არ სტკიოდეს ქვეყნისათვის გული. მაშ რატომ ყოველი პატიოსანი ადამიანი არ უნდა მიემხროს, მიეკედლოს ამ პარტიას ? რა ნება გვაქვს მეორე პარტიას მოღალატეობა შევწამოთ, ან გულგრილობა ? არა გვაქვს არაფერი უფლება. იმასაც უსათუოდ ატკივებს გულს ქვეყნის სვე-ბედი. მაშ რაშია მართალი ის პარტიის გარეშე მდგომი, ე. ი „ნეიტრალი“ ადამიანი?... რა საბუთი აქვს იმას თავის გამართლებისა, ნეიტრალობისა ? აქვს და , როგორც დაინახავთ სწორედ, შესაწყნარებელი საბუთიც. აი რა : მართალია, ორივე პარტიას ატკივებს ქვეყნის სვე-ბედი გულს, მაგრამ, რადგანაც იმათ ქვეყნის სვე-ბედად, თითქმის მთელ ქვეყნად გარდააქციეს, ნამდვილი ქვეყანა და მისი ტკივილები კი ცალკე რჩება; გონების მხედველობა ამაზე აქვს მიპყრობილი და სხვებსაც ურჩევენ თქვენი თვალი და გულიც, ამას მიაჩერეთო; სადაც ბევრი აურზაური, ჯახა-ჯუხი ისმის, მტრობა და

ქიშპობა ვარდება უბრალო საქმისათვის, ამიტომ მე ნება მაქვს გარეშე დავდგე ამ ბაბილონის ენათა აღრევაზე. „ნეიტრალი“ თუ იტყვის თავის გასამართლებლად, იმას იტყვის, სხვას ვერაფერს.... მაშ დავიჯეროთ ამ „ნეიტრალს“ კი არა აქვს მიმართულება ? ვერ უსაყვედურებთ მიმართულების უქონლობას, მაგრამ მისი მიმართულება ბევრით არ განირჩევა ერთ-ერთ იმ ორ პარტიათა მიმართულებისგან... იგი ნეიტრალობს მხოლოდ ბანკის საქმეში, დანარჩენში მხურვალე მონაწილეობას იღებს, აი თავი და ბოლო მისი ნეიტრალობისა. იმას საკუთარი პარტია არა ჰყავს, არის ობლად შთენილი, როგორც გამარტოებულად მთაზე მდგომარე მუხა და შესაბრალისი კიდეც იმიტომ არის „ნეიტრალი“, რომ მუნჯობს დღევნამდე, დროს ელის თავის მოქმედებისათვის. იგი უფრო მაღალ ფარდებში მიიწევს და ამ მაღალი საქმისათვის დიდი ღონე, დიდი მომზადებაა საჭირო. მისი აზრი თავის განწირვას მოითხოვს და , აბა, თქვენვე მიბრძანეთ, ამ აზრს, ამ მიმართულებაზე „კენჭოსნობაზე“ როგორ გასცვლის, მდაბალხარისხიან, საკომერციო, „საარშინო“ „საჩოთკო“ საქმეზე ?!

თუ ვინმეა პარტიობას მორიდებული, ეს უნდა იყოს ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. კარგა ხანია, რაც ეს საზგადოება მოქმედებს და მისდევს ერთხელ დანიშნულს გზას, მაგრამ დღეს აქამომდე ამ საზოგადოებაში პარტიობის ნატამალიც კი არსაიდამა სჩანს. ერთის მხრით სასახულოც კია ეს ამბავი, მაგრამ მეორეს მხრით, არა. რადა თუ იტყვით ? იად, რომ ალბათ საზოგადოების წევრთ ერთხელ და ერთხელ არჩეული პროგრამა, წესი წერა-კითხვის გავრცელებისა, უნაკლულოდ, დამთავრებულად და ყოველის მხრით შესამუშავებლად მიაჩნიათ. ან გონებით ჰხედვენ, გული აქვს გაგრილებული. უსათუოდ ეს უკანასკნელი მიზეზია ჩვენთვის ხელჩასაჭიდი. როგორ დავიჯეროთ, რომ ამ საზოგადოების ზოგმა წევრმა მაინც ვერ შეიგნო, რომ ის ოთხი-ხუთი სკოლა ვერ ეწამლება ჩვენს ქვეყანას, ვერ აასრულებს თავის დანიშნულებას, ვერ ასწავლის ყველას წერა-კითხვას, მაგრამ ამაზე ისინი მიპასუხებენ : ცოტა და კარგიო. ეს ხომ მართალია, ცოტა სჯობია კარგი ბევრს უხეიროს და უვარგისს, მარამ ეს ცოტაც რომ ვერა კარგობს, როგორც მოსალოდნელი იყო. ნუთუ ამას არ უნდა დაუფიქრდეღ? ეხლანდელს სოფლის სკოლაში დაშთენილი ბავში ოთხ წელიწადს ისეთივე მწიგნობარი გახლავთ, როგორ იმ თავითვე ხბორებში გაზრდილი და თავისთავად სწავლა მიღებული ყრმა.. ხარჯს, ფულს, რაც ამ სკოლებზე მიდის, ხომ თვლა და ტქმა არ ეჭირება. პარტიობა თუ გაჩნდებოდა, სწორედ ამ ნიადაგზე უნდა დაბადებულიყო, მაგრამ არ დაიბადა... არ დაიბადა იმიტომ,რომ პარტიის შედგენას, დაბადებას, შნო, უნარი, ფიქრი, მოსაზრება ეჭირება. „პარტიობა“ მაინც და მაინც არ არის დასაძრახი მოვლენა საზოგადოებრივს ცხოვრებაში... როდესაც გატკივებს გულს რაიმე საგანი, როცა გიყვარს იგი, მხოლოდ მაშინ ეძებ გზებს მის საბედნეიროდ; ერთი ერის გზას უჩვენებს, სხვა სხვას და აი, სწორედ ამ დროს იბადება პარტიობა, ხდება ცილობა - არა ესე უნდა იყოს, ასე უნდა გაკეთდეს ეს და ეს საქმე, არა ისეო. როცა გული დადინჯებული გაქვს, საქმე არ გიყვარს და დაკმაყოფლებული ხარ იმაზე, რააც გაკეთებულა, მაშინ აღარც ჰზრუნავ ახალი რამ შეჰმატო საქმეს, ახალი რამ იძიო და იკვლიო.

სჩანს, ჩვენ რაც უფრო გვეჭირება, რაც უფრო გვეწამლება, იმაზე ყურს ვიყრუებთ და აქეთ-იქით კი ღობე-ყორეს მოვედებით. განა დიდი რამ მოსაზრება უნდა იმას, რომ ჩვენმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსოს მოძრავი სკოლები, მით უმეტეს, რომ თვით გეოგრაფიული მდებარეობა, სხვაც რომ არა იყოს, ჩვენის ქვეყნისა, ამას მოითხობს.

საზოგადოებას მაშინ იმაზე ხარჯით, რაც დღეს მიუდის დღევანდელს სკოლებზე ასჯერ მეტი ანა-ბანის მცოდნე ეყოლებოდა წელიწადში, ვიდრე ეხლა, მაგრამ, განა ტყუილად ვსთქვი, როცა კმაყოფილი კაცი იმით, რაცა აქვს და რაცა ჰყავს, მაშინ მეტს აღარ დაეძებს და სწორედ იგა შესაბრალისი, საზოგადოება იქნება თუ მატო ადამიანი....

საზოგადოებამ დღესნამდის როგორ ვერ შასძლომეოხმარებინა მისთვის „წერა-კითხვის გავრცელების“ უფლება , მთავრობისაგან მინიჭებული ისე, რომ უფრო სარფა და სარგებლობა ენახა ? არა, ეს საზოგადოება დადგა ოფიციალურს ნიადაგზე და დაგვიარსა ისეთივე სკოლები, როგორიცააქვს დირექციებს და ინსპექციებს და, თითქოს მეტი საჭირო აღარაფერი იყოსო, შეავსო იმათი ნაკლი თავის 4-5 სკოლის დაარსებით. ვერაფერი უნარი გახლავსთ!